სახელმწიფო შესყიდვების
ხელშეკრულება # 10-040820-01

ქ. თბილისი **04.08.2020 წ.**

ერთის მხრივ, შპს „გარდაბნის თბოსადგური 2“ (შემდგომში - „შემსყიდველი“), წარმოდგენილი მისი გენერალური დირექტორის მერაბ კიპაროიძის სახით და მეორეს მხრივ, სს „ქებული კლიმატი” (შემდგომში - „მიმწოდებელი“), წარმოდგენილი მისი დირექტორის თემურ არზიანის სახით, „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის პირველი პუნქტის „ს[1]“ ქვეპუნქტის შესაბამისად, ვდებთ ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი

1.1. წინამდებარე ხელშეკრულების საგანია დანართი #1-ით (ინვოისი RS000000721) გათვალისწინებული მახასიათებლების და ამ მახასიათებლების შესაბამისი რაოდენობის მილის და მასთან დაკავშირებული მასალების და წნევის დამგდები სარქველის (შემდგომში - საქონელი) სახელმწიფო შესყიდვა წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად **(CPV კოდები- 44160000; 42130000).**

1.2. საქონლის მახასიათებლები და ფასი ერთეულის მიხედვით მოცემულია წინამდებარე ხელშეკრულების დანართ #1-ში (ინვოისი RS000000721) რომელიც თან ერთვის ხელშეკრულებას და წარმოადგენს მის განუყოფელ ნაწილს.

2. მხარეთა უფლება-მოვალეობები

2.1. შემსყიდველი უფლებამოსილია მოსთხოვოს მიმწოდებელს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების დროულად და სრულად შესრულება.

2.2. შემსყიდველი ვალდებულია, უზრუნველყოს შესაბამისი ანგარიშსწორება ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობებითა და ოდენობით.

2.3. მიმწოდებელი უფლებამოსილია, მოსთხოვოს შემსყიდველს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების დროულად და სრულად შესრულება.

2.4. მიმწოდებელი ვალდებულია, მიაწოდოს შემსყიდველს ნივთობრივად და უფლებრივად უნაკლო საქონელი.

3. საქონლის მიწოდების პირობები

3.1. მიმწოდებელი ვალდებულია საქონლის შემსყიდველისათვის მოწოდება უზრუნველყოს არაუგვიანეს 2020 წლის 5 აგვისტოს.

3.2 საქონლის ტრანსპორტირებას უზრუნველყოფს შემსყიდველი საკუთარი ხარჯით.

3.3. საქონლის მოწოდების შემდეგ, მიმწოდებელსა და შემსყიდველს შორის ფორმდება მიღება-ჩაბარების აქტი, რომელსაც ხელს აწერენ მხარეთა მიერ უფლებამოსილი პირები.

3.4. შემსყიდველი უფლებამოსილია უარი განაცხადოს უხარისხო საქონლის მიღებაზე.

4. საქონლის ხარისხი

4.1. მიმწოდებელი იღებს ვალდებულებას, რომ: მიწოდებული საქონელი იქნება ახალი, ექსპლუატაციაში არ მყოფი და დააკმაყოფილებს ხელშეკრულებით შეთანხმებულ მოთხოვნებს.

5. ხელშეკრულების ღირებულება და ანგარიშსწორება

5.1. ხელშეკრულების საერთო ღირებულება შეადგენს **135.22** (აქედან CPV 44160000–91.11 ლარი დღგ-ს ჩათვლით, CPV 42130000– 44.11 ლარი დღგ-ს ჩათვლით) ლარს დღგ-ს ჩათვლით.

5.2 ანგარიშსწორება მიმწოდებელთან წარმოებს ლარში, უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით, მიღება-ჩაბარების აქტის და საგადასახადო ანგარიშფაქტურის საფუძველზე.

5.3 ანგარიშწორება განხორციელდება 5.2 პუნქტით გათვალისწინებული დოკუმენტების წარდგენიდან არაუგვიანეს 10 სამუშაო დღის ვადაში.

6. გარანტია, პასუხისმგებლობა და ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა

6.1 მხარეების მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა და/ან დარღვევა გამოიწვეს მათ პასუხისმგებლობას წინამდებარე ხელშეკრულებისა და მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად.

6.2. ნაკლიანი საქონლის მიწოდების შედეგად შემსყიდველისთვის, ან მესამე მხარისათვის მიყენებული ნებისმიერი ზიანის ანაზღაურება ეკისრება მიმწოდებელს.

6.3. მხარეს შეუძლია მოითხოვოს მეორე მხარის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობით ან არაჯეროვანი შესრულებით მისთვის მიყენებული ზიანის ანაზღაურება.

6.4. საქონლის მოწოდების დაყოვნების შემთხვევაში მიმწოდებელი ვალდებულია გადაუხადოს შემსყიდველს პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ კალენდარულ დღეზე ხელშეკრულების საერთო ღირებულების 0,1%-ის ოდენობით.

6.5. შემსყიდველის მიერ ანგარიშსწორების ვადის გადაცილების შემთხვევაში მიმწოდებელს უფლება აქვს დააკისროს შემსყიდველს პირგასამტეხლოს გადახდა ყოველ ვადაგადაცილებულ სამუშაო დღეზე გადაუხდელი თანხის 0,1%-ის ოდენობით.
6.6. მიმწოდებლის მიერ პირგასამტეხლოს გადახდა, საქართველოს სამოქლაქო კოდექსით გათვალისწინებული შემთხვევების გარდა, არ ათავისუფლებს მას წინამდებარე ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების ჯეროვნად შესრულების მოვალეობისაგან.
6.7. მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების შეწყვეტის/საქონლის მიწოდებაზე უარის თქმის შემთხვევაში, მიმწოდებელს დაეკისრება პირგასამტეხლო ხელშეკრულების საერთო ღირებულების 5%-ის ოდენობით, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც მიმწოდებელი ხელშეკრულებას შეწყვეტს/საქონლის მიწოდებაზე უარს იტყვის ხელშეკრულების მე-11 მუხლის მე-2 პუნქტში მითითებული გარემოებების საფუძველზე.
6.8. შემსყიდველი უფლებამოსილია ანგარიშსწორებისას მიმწოდებელს გამოუქვითოს პირგასამტეხლოს სახით მასზე დარიცხული თანხა.

7. მხარეთა პასუხისმგებლობისგან გათავისუფლება
7.1. მხარეები არ აგებენ პასუხს ვალდებულებათა სრული ან ნაწილობრივი შეუსრულებლობისათვის იმ შემთხვევაში, თუ აღნიშნული გამოწვეულია ფორს-მაჟორული გარემოებებით (მიწისძვრა, წყალდიდობა, სახელმწიფო გადატრიალება და სხვა გარემოებები, რომლებიც არ არიან დამოკიდებული მხარეებზე და ითვლებიან ფორს-მაჟორულ გარემოებებად).
7.2. მხარემ, რომელსაც შეექმნა ფორს-მაჟორული გარემოება დაუყოვნებლივ წერილობით უნდა აცნობოს მეორე მხარეს შექმნილი გარემოების და მისი სავარაუდო აღმოფხვრის ვადის შესახებ. წინააღმდეგ შემთხვევაში იგი არ თავისუფლდება ხელშეკრულების პირობების სრული ან ნაწილობრივი შეუსრულებლობით გამოწვეული პასუხისმგებლობისაგან.
7.3. წერილობით შეტყობინებაში მითითებული ფაქტები დადასტურებული უნდა იქნას კომპეტენტური ორგანოს მიერ. დადასტურება არ არის საჭირო, თუ აღნიშნული ფაქტები ცნობილია საზოგადოდ.
7.4. მხარეები ანახლებენ თავიანთი ვალდებულებების განხორციელებას ფორს-მაჟორული გარემოებების აღმოფხვრისთანავე.

8. ხელშეკრულების ინსპექტირების პირობები
8.1. შემსყიდველს ან მის მიერ უფლებამოსილ პირს უფლება აქვს განახორციელო საქონლის კონტროლი და/ან გამოცადოს საქონელი.
8.2. შემსყიდველის ან მისი მიერ უფლებამოსილი პირის ფუნქციებია:
8.2.1. საქონლის მოცულობის, ხარისისხისა და ვადების წინადებარე ხელშეკრულების მოთხოვნებთან შესაბამისობის დადგენის მიზნით სათანადო კონტროლისა და ზედამხედველობის განხორციელება;
8.2.2. შეამოწმოს საქონელი მიღებამდე და უხარისხობის აღმოჩენის შემთხვევაში უარი თქვას მის მიღებაზე.
8.2.3. წინამდებარე ხელშეკრულების ეფექტური შესრულების მიზნით სხვა უფლებამოსილების განხორციელება.
8.3 თითოეული გამოვლენილი ნაკლის აღმოფხვრასთან და ინსპექტირებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურება ეკისრება მიმწოდებელს.
9. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა
9.1. ხელშეკრულების მონაწილე არც ერთ მხარეს არ აქვს უფლება ცალმხრივად შეცვალოს ხელშეკრულების პირობები.
9.2. დაუშვებელია ხელშეკრულებაში იმგვარი ცვლილებების შეტანა, რომელთა შედეგად შემსყიდველისათვის იზრდება ხელშეკრულების ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით დადგენილი შემთხვევებისა.
9.2.1. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული პირობების დადგომის შემთხვევაში დაუშვებელია ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 10%-ზე მეტი ოდენობით გაზრდა.
9.3. ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს წერილობითი ფორმით შეთანხმების სახით, რომელიც თან დაერთვება ხელშეკრულებას და ჩაითვლება მის განუყოფელ ნაწილად.
9.4. ხელშეკრულებაში შეტანილი ყველა ცვლილება იურიდიულ ძალას იძენს მხოლოდ მხარეთა მიერ მისი ხელმოწერის დღიდან.

10. ხელშეკრულების ძალაში შესვლა და მოქმედების ვადა
10.1. ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა მიერ მისი ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს 2020 წლის 30 სექტემბრის ჩათვლით.
10.2. ხელშეკრულების შესაბამისი მუხლები ძალაში რჩება მხარეთა მიერ ნაკისრი ვალდებულებების სრულ ამოწურვამდე.

11. ხელშეკრულების შეწყვეტა
111. მხარეებს შეუძლიათ ურთიერთშეთანხმებით, ორმხრივად შეწყვიტონ წინამდებარე ხელშეკრულება მისი მოქმედების ნებისმიერ ეტაპზე.

11.2. ნებისმიერ მხარეს შეუძლია ცალმხრივად შეწყვიტოს ხელშეკრულება მეორე მხარისათვის წერილობითი შეტყობინების გაგზავნის საფუძველზე, იმ შემთხვევაში თუ:

ა) რომელიმე მხარემ მთლიანად ან ნაწილობრივ დაარღვია ამ ხელშეკრულების პირობა;

ბ) ხელშეკრულების ერთ-ერთი მხარე სისტემატიურად არღვევს წინამდებარე ხელშეკრულების პირობებს;

გ) სსკ 398-ე მუხლით გათვალისწინებულ შემთხვევაში.

12. დავების გადაწყვეტა, მარეგულირებელი სამართალი

12.1. მხარეთა შორის წარმოშობილი ნებისმიერი დავა წყდება მხარეთა ურთიერთმოლაპარაკების გზით.

12.2. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში ყველა სადავო საკითხი წყდება საქართველოს სასამართლოში.

12.3. ხელშეკრულება დადებულია საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად და ინტერპრეტირებული იქნება საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით.

13. დასკვნითი დებულებები

13.1. წინამდებარე ხელშეკრულებაზე მხარეების მიერ შესრულებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა ან/და დამოწმებულია კვალიფიციური ელექტრონული შტამპით, რომელსაც აქვს იურიდიული ძალა.

13.2. ხელშეკრულების ცალკეული მუხლის და/ან პუნქტის ბათილობა ან ძალადაკარგულად ცნობა არ ახდენს გავლენას მთლიანად ხელშეკრულების ან მისი დანართების ნამდვილობაზე.

13.3. წინამდებარე ხელშეკრულებიდან გამომდინარე ნებისმიერი შეტყობინება მხარეთა შორის წარმოებს წერილობით ან ელექტრონული ფოსტის მეშვეობით.

13.4. ხელშეკრულების არც ერთ მხარეს არ აქვს უფლება მეორე მხარის წერილობითი თანხმობის გარეშე მთლიანად ან ნაწილობრივ გადასცეს მესამე პირს ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული უფლება-მოვალეობები.

14. მხარეთა რეკვიზიტები და ხელმოწერები

„შემსყიდველი“ **შპს „გარდაბნის თბოსადგური 2“** **მის: ქ. გარდაბანი, დ. აღმაშენებლის 2ბ** **ს/კ: 426529759** **სს „ტერა ბანკი“** **ბ/კ: TEBAGE22** **ა/ა GE43 KS 0000000340300002** **გენერალური დირექტორი** **მ. კიპაროიძე**	**„მიმწოდებელი“** **სს „ქებული კლიმატი“** **მის: ქ. თბილისი, დიდუბის რაიონი, ეთერ ბოცვაძის ქ., N 4** **ს/კ: 202283242** **სს პროკრედიტ ბანკი** **ბ/კ: MIBGGE22** **ა/ა GE41PC0223600100005176** **დირექტორი** **თ. არზიანი**

Gardabani TPP 2 LLC

Digitally signed by Gardabani TPP 2 LLC
Date: 2020.08.04 10:34:13 +04'00'

Temur Arziani

Digitally signed by Temur Arziani
Date: 2020.08.04 16:10:09 +04'00'

ს.ს. «ქებული კლიმატი» ს/კ 202283242
თბილისი, 0159, ბელიაშვილის ქ. 40
202 22 22
welcome@qebuli.ge

კომერციული ინვოისი № RS000000721

დამკვეთი:
გარდაბნის თბოსადგური 2 შპს ს/კ 426529759
გარდაბანი, აღმაშენებლის 2ბ
ტელ: 599092277

პროკრედიტ ბანკი
ბანკის კოდი: MIBGGE22
ანგარიში: GE41PC0223600100005176

თარიღი: 03.08.2020

№	დასახელება	რაოდენობა	ერთ.	ფასი	ჯამი
1	20*3,4მმ მილი PN 20 RVK	22.00	მეტრი	1.45	31.90
2	ბაჩონკა 1/2	1.00	ცალი	2.00	2.00
3	ვენტილი ARCO 1/2"	3.00	ცალი	7.50	22.50
4	20მმ ვენტილი RVK	1.00	ცალი	9.42	9.42
5	20მმ მუხლი 45° RVK	2.00	ცალი	0.18	0.36
6	20მმ მუხლი 90° RVK	8.00	ცალი	0.25	2.00
7	20მმ ქურო RVK	6.00	ცალი	0.22	1.32
8	პაკლი პატარა	1.00	ცალი	1.00	1.00
9	20 1/2" ქურო გ/ხ RVK	2.00	ცალი	2.00	4.00
10	50-2000მმ საკანალიზაციო მილი 1,8მმ STOK	4.00	ცალი	6.49	25.96
11	50-1000მმ საკანალიზაციო მილი 1,8მმ STOK	1.00	ცალი	3.76	3.76
12	50-500მმ საკანალიზაციო მილი 1,8მმ STOK	2.00	ცალი	2.55	5.10
13	50*90° მუხლი STOK (კანალიზაცია)	5.00	ცალი	0.98	4.90
14	50*45° გაშლილი მუხლი STOK (კანალიზაცია)	1.00	ცალი	0.98	0.98
15	ლიმონჩიკი 50 მმ (პასიური)	1.00	ცალი	0.55	0.55
16	50მმ ხუფი DIZAYN (კანალიზაცია)	1.00	ცალი	0.37	0.37
17	სამკაპი 1/2 შ/ხ (ლატუნის)	1.00	ცალი	3.50	3.50
18	რეზინის მილი ლითონთან კომბინირებული ფიტინგებით (კობრა) 1/2 60CM	4.00	ცალი	3.90	15.60

ჯამი დღგ-ს ჩათვლით 135.22 GEL

გადასახდელი: ას ოცდათხუთმეტი ლარი და 22 თეთრი 135.22 GEL

ხელწერილი ინტერესთა კონფლიქტის არ არსებობის შესახებ

ქ. თბილისი **04.08.2020 წ.**

ჩვენ, ქვემოთ ხელის მომწერნი ვადასტურებთ, რომ სს „ქებული კლიმატი“-სთან (ს/კ: 202283242) შესყიდვის განხორციელებისას ჩვენი მონაწილეობა არ ეწინააღმდეგება „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-8 მუხლის მოთხოვნებს და ინტერესთა კონფლიქტში არ ვიმყოფებით.

გენერალური დირექტორი Gardabani TPP 2 LLC Digitally signed by Gardabani TPP 2 LLC Date: 2020.08.04 10:34:40 +04'00' **მ. კიპაროიძე**

შესყიდვების სამსახურის უფროსის მოადგილე **ე.გოდერძიშვილი**